სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/268

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულებაში ცვლილებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სტუ-ში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

I. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და პირველი მუხლი, მე-3 მუხლის მე-10, მე-14, მე-16 და მე-17 პუნქტები, მე-6 მუხლის მე-13 და მე-19 პუნქტები, მე-8 მუხლის მე-7 პუნქტი, მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მაგისტრატურის მიზნები

1.1. მაგისტრატურა არის აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგიც შეესაბამება

ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს მე-7 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

1.2. მაგისტრატურაში სწავლის მიზანია:

ა) შესაბამის მიმართულებაში, დარგში/სპეციალობაში ან/და ქვედარგში/სპეციალიზაციაში ღრმა და სისტემური ცოდნის დაუფლება და სათანადო უნარის გამომუშავება, რაც პირს ამზადებს მუშაობისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შეზღუდვების გათვალისწინებით, ან/და დოქტორანტურაში სწავლისათვის;

ბ) სპეციალობის შეცვლა (გარდა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამისა);

გ) სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის მომზადება;

დ) პროფესიული განვითარება და კვალიფიკაციის ამაღლება."

„3.**სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები**

3.1. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი მოცულობის 120 კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტი (სასწავლო კურსები (საგნები)/მოდულები/კონცენტრაციები) – არანაკლებ 75 კრედიტი; კვლევითი კომპონენტები შეიძლება იყოს: პროექტი/პროსპექტუსი (არსებობისას) – არაუმეტეს 5 კრედიტი, თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი(არსებობისას) – არაუმეტეს 10 კრედიტი, საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა – 30 კრედიტი (იხ. დანართები 1, 2)."

„6.13. სტუ-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობს სტუ-ში რექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრული წესით და დადგენილ ვადაში. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის პერიოდის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ რექტორის აქტის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები."

„6.19. პრეტენზიის არსებობისას მაგისტრანტობის კანდიდატი საპრეტენზიო განცხადებას წარადგენს სტუ-ის რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში."

„8.7. საგამოცდო კომისია დახურულ სხდომაზე დაცვის დამთავრებისთანავე მე-4 დანართის 4.7 პუნქტში მითითებული 100-ქულიანი სისტემით აფასებს მაგისტრანტის ნაშრომს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტების შეფასების წესის შესაბამისად."

„9.3. მაგისტრის წარჩინების დიპლომის მისაღებად ყველა საგანში მიღებული შეფასების საშუალო შეწონილი სიდიდე უნდა იყოს 91 და მეტი ქულა."

II. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მისი პირველი და მე-3 დანართები ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართები 1, 2).

III. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მე-4 დანართის მე-3 მუხლს დაემატოს შემდეგი რედაქციის მე-10 პუნქტი: „3.10. კოლოკვიუმის უარყოფითი შეფასების შემთხვევაში (51-ზე ნაკლები ქულა) მაგისტრანტი განმეორებით წარადგენს ნაშრომს არსებული წესის შესაბამისად."

IV. შეტანილ იქნეს ცვლილებები მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მე-4 დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მე-3 ქვეპუნქტი, მე-3 მუხლის მე-2 და მე-8 პუნქტები, მე-4 მუხლის პირველი და მე-7 პუნქტები

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „2.1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მთლიანად მოიცავს არაუმეტეს 45 კრედიტს. კვლევითი კომპონენტები შეიძლება იყოს:

- პროექტი – პროსპექტუსი (არაუმეტეს 5 კრედიტი)
- თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა – კოლოკვიუმი (არაუმეტეს 10 კრედიტი)
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა (30 კრედიტი).“

„3.2. თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა მაგისტრანტმა შეიძლება შეასრულოს სწავლების მეორე წლის, მესამე სემესტრში. შესაბამისად, მას დაევალება ერთი კოლოკვიუმის მომზადება. თუ პროგრამაში არის პროსპექტუსი, მაშინ კოლოკვიუმზე დაშვების წინაპირობაა პროსპექტუსში დადებითი შეფასების მიღება.“

„3.8. კოლოკვიუმის შეფასების მიზნით კვლევის შედეგები შესაბამისი სასწავლო სემესტრის დასრულებამდე (არაუგვიანეს მე-17 სასწავლო კვირისა) წერილობით წარედგინება ფაკულტეტის დეკანს, რომელიც ქმნის 3 – 5 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში უნდა შევიდნენ შესაბამისი მიმართულების/დარგის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები. კომისიის მუშაობას უნდა დაესწროს მაგისტრანტის ხელმძღვანელი. კომისიაზე მაგისტრანტი აკეთებს კვლევის შედეგების პრეზენტაციას (10 –15 წთ). კომისიის თითოეული წევრი კოლოკვიუმს აფასებს 5 კომპონენტით (დანართი 2). შეფასების მაქსიმუმია 100 ქულა. შეფასების სკალირებული ქულა (S) გამოითვლება შემდეგი ფორმულით S=4 x M, სადაც M არის ხუთივე კომპონენტის შეფასების ჯამური ქულების საშუალო არითმეტიკული (დანართი 4)“.

„4.1. სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომის დაცვაზე დაიშვება პირი, რომელმაც შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტი, გარდა “საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის” კომპონენტისა, დააგროვა 90 (ოთხმოცდაათი) კრედიტი. საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა იყოს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგი.“

„4.7. მაგისტრანტის კვლევითი კომპონენტის შეფასებისთვის გამოიყენება ხუთი დადებითი და ორი უარყოფითი შეფასება.

ა) დადებით შეფასებები:

ა.ა) **(A) ფრიადი –** 91 და მეტი ქულა;

ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – 81– 90 ქულა;

ა.გ) **(C) კარგი** – 71– 80 ქულა;

ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – 61– 70 ქულა;

ა.ე) **(E) საკმარისი** – 51– 60 ქულა;

ბ) უარყოფით შეფასებები:

ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – 41– 50 ქულა. ამ შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა –** 40 და ნაკლები ქულა. ამ შეფასების ასევე განმეორებით „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.“

V.შეტანილ იქნეს ცვლილება მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მე-4 დანართის მე-4 მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულება და დაცვა“.

VI. შეტანილ იქნეს ცვლილება მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და მე-4 დანართის პირველი დანართის პირველი ცხრილის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროსპექტუსის საკვლევი თემის აქტუალობა, მიზნები და მოსალოდნელი პრაქტიკული ღირებულება – შეფასება მაქსიმუმ 5 ქულა."

VII. შეტანილი იქნეს ცვლილება მაგისტრატურის შესახებ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში და ამოღებულ იქნეს მეორე მუხლი, მე-4 დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი და პირველი დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი.

VIII. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**